ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№38. 382510734**

თარიღი:**17/04/2025**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ვიდეომონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 08 აგვისტოს N9 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს დაევალოთ უზრუნველყონ წინამდებარე წესის გაცნობა მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის.
3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას დაევალოს, უზრუნველყოს წინამდებარე წესის გამოქვეყნება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.rustavi.gov.ge .
4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

კახა გურული

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია), როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით, ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად, ვიდეომონიტორინგის მიზნის, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობის, ჩანაწერზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესის და პირობების, ასევე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების განსაზღვრა.

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება მერიის ბალანსზე არსებულ ვიდეო-სათვალთვალო კამერებზე, რომლებიც განთავსებულია მერიის ადმინისტრაციულ შენობებში და აკონტროლებს შენობის შიდა და გარე სივრცეებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

თავი II

ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი და მოცულობა

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის მიზანი და პრინციპები

1. მერიის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება:
ა) მერიაში დასაქმებული პირებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
ბ) ადმინისტრაციულ შენობებში გარეშე პირთა უკანონოდ შეღწევის გამოვლენის და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით;
გ) მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების დაცვის მიზნით.
დ) სხვა ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც წერილობითი ფორმით იქნება დასაბუთებული.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის პრინციპები.

3. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, სარგებლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებებით.

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის მოცულობა

1. მერიის მიერ ვიდეომონიტორინგის შედეგად მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში, თუ ადგილი ექნება იმგვარი მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზანთან, მერია არ ახდენს აღნიშნული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

თავი III

ვიდეომონიტორინგის განხორციელების ზოგადი წესი
და ტექნიკური მახასიათებლები

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის განხორციელება

1. ვიდეომონიტორიგი ხორციელდება მერიის ადმინისტრაციულ შენობებზე. ვიდეო-სათვალთვალო კამერის არეალში ექცევა ადმინისტრაციული შენობების გარე და შიდა სივრცე.

2. შენობის როგორც გარე, ასევე, შიდა პერიმეტრზე განთავსებულია თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი, ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ.

3. ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.

4. დასაქმებული, რომლის სამუშაო სივრცე და პროცესი ექცევა ვიდეომონიტორინგის მეთვალყურეობის ქვეშ, მერია წერილობითი ფორმით აფრთხილებს ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის შესახებ.

მუხლი 6. ტექნიკური მახასიათებლები

1. ვიდეომონიტორინგის სისტემა იძლევა, მხოლოდ ვიზუალური გამოსახულების აღქმის შესაძლებლობას, არ ხორციელდება ხმის აუდიო ჩაწერა.

2. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება, როგორც რეალურ დროში, ასევე 24 საათიანი ჩაწერის რეჟიმში.

3. ვიდეო-სათვალთვალო კამერები განთავსებული იმგვარად, რომ იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას, მხოლოდ ვიზუალური გამოსახულებით.

თავი IV

მონაცემთა უსაფრთხოება და მათზე წვდომის უფლებამოსილება

მუხლი 7. მონაცემთა დამუშავება და უსაფრთხოება

1. მერიის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან წვდომა ხდება როგორც რეალურ დროში, ასევე, შესაძლებელია ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახედვა და სხვა მოწყობილობაზე ჩაწერა.

2. მერიაში რეალურ დროში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების სერვერების ოთახში. ასევე, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდეგში - დაცვის პოლიცია) ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ, დაცულ ოთახში.

3. ოთახებში, სადაც ხორციელდება რეალურ დროში ვიდეომონიტორინგი დაუშვებელია, აკრძალულია ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება/ჩაწერა და ტექნიკური ან/და ელექტრონული მანიპულაციები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. ოთახებში, სადაც ხორციელდება ვიდეომონიტორინგი ნივთების ან/და სხვა ტექნიკური მოწყობილობების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირებს.

5. მერიის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულ ვიდეოკამერების ჩანაწერებთან არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირები, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე ატყობინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით.

6. მერიაში რეალურ დროში ვიდეომონიტორინგი განხორციელებისას შესაბამის მოწყობილობაზე არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში დაცვის სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ, არაუგვიანეს 24 საათისა, შეატყობინოს მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

მუხლი 8. მონაცემთა წვდომაზე უფლებამოსილი პირები და მათი უფლება-მოვალეობები

1. მერიაში ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელებაზე წვდომა აქვს მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს და დაცვის პოლიციის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს (რომელსაც განსაზღვრავს დაცვის პოლიცია).

2. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა დამუშავებაზე (ნახვა, გადახვევა, ამოღება, გადმოწერა, დაარქივება და სხვა ნებისმიერი მოქმედება მონაცემებთან მიმართებით) პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.

3. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილება განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4. ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელებაზე და მის შედეგად მიღებულ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან:

ა) მიიღოს მონაცემთა დამუშავების ისეთი ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.

ბ) ვიდეომონიტორინგის სისტემაზე დაშვება განახორციელოს, მხოლოდ მასზე განპიროვნებული მომხმარებლის საშუალებით.

გ) არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, მიუკერძოებლად განახორციელოს ვიდეომონიტორინგი, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

დ) ვიდეომონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევის ან/და ინციდენტის შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირების ინფორმირება.

თავი V

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი

მუხლი 9. ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება მონაცემთა მართვის ოთახში განთავსებულ სერვერებზე. ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა არის, არაუმეტეს 2 კვირა. ვიდეოკამერის მოცულობის ამოწურვის შემდეგ, ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით - რაც იწვევს ძველი ჩანაწერების ავტომატურ წაშლას.

2. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ამოღებულია მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებულ იქნა ჩანაწერი, იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც მოხდა მისი ამოღება. აღნიშნული წესი ვრცელდება ჩანაწერზე, რომელიც გადაცემულია მესამე პირებზე.

3. სამართალწარმოების ჩატარების მიზნით, ჩაწერილი მონაცემების დაარქივება ხდება ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების/გარემოებების აღმოჩენისას.

4. ჩაწერილი მონაცემების დაარქივებისას, მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი ადგენს შესაბამის ოქმს და ჩაწერილი მონაცემების ინახება ამისთვის განკუთვნილ შესაბამის ელექტრონულ მოწყობილობაზე.

5. დაარქივებული მონაცემები ინახება დაარქივებიდან 1 წლის მანძილზე. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მოთხოვნის განმახორციელებელ მხარეს.

6. შესაბამის ელექტრონულ მოწყობილობაზე შენახული დაარქივებული მონაცემები ნადგურდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში, მერიის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის მიერ. მონაცემთა განადგურების შესახებ მის მიერ დგება შესაბამისი ოქმი.